„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

# კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი ● №5-6 (9523-9524) ● 1-31 მარტი ● ფასი 1 ლარი

**მუნიციპალიტეტის მერიაში**

## ჟიული შარტავა - 78

7 მარტს, საქართველოს ეროვნული გმირის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის - ჟიული



შარტავას მშობლიურ ქალაქში, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს: სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, დავით კუხალეიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბალათურიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

გმირის მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე ჟიული შარტავას თავდადების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში, ჟიული შარტავასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი, ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა, იოანე კუპრეიშვილმა აღავლინა.



გმირის სახელობის სენაკის მეორე საჯარო სკოლაში, ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო - ,,უკვდავებაში გარდასული სიცოცხლე...“ გაიმართა.

მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა გააცოცხლეს ჟიული შარტავას ცხოვრების გზა - ყრმობა, ოჯახი და გარემო, სადაც იგი ჩამოყალიბდა, მოღვაწეობის წლები, აფხაზეთში მისი გმირული აღსასრულის ამბავი... ამბავი კაცისა, ვინც, სულიერების მწვერვალს მიღწეულმა, მოწამეობრივი აღსასრულით, საოცარი მაგალითი დაგვიტოვა, მაგალითი, რომელიც გვავალებს, მაქსიმალური გავიღოთ ქვეყნის სასიკეთოდ, მისი გარდაუვალი გამთლიანებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

## დედის დღე მიულოცა



სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მრავალშვილიანი დედები მოინახულა, მათ დედის დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

,,ჩვენ გადავწყვიტეთ, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 6 და მეტ შვილიანი დედები მოგვენახულებინა, მათთვის დედის დღე მიგველოცა და სიმბოლური საჩუქრები გადაგვეცა. დედობა - თავისთავად დიდი სიხარულია, მაგრამ მრავალშვილიანი დედობა გმირობაა. გილოცავთ, შვილების კეთილდღეობას და დღეგრძელობას გისურვებთ“ - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

## ხელოვნების ცენტრში



სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგ ქალბატონებს დედის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

,,გაზაფხულის შემობრძანებასა და დედის ულამაზეს დღეს გილოცავთ. ეს დღე განსაკუთრებული მოწიწებით მინდა მივულოცო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების დედებს, მეუღლეებს, ჩვენს უხუცესებს, სენაკის საპატიო მოქალაქე ქალბატონებს, განათლების, კულტურის, მედიცინისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მანდილოსნებს, ჩვენს ქალაქთან შესისხლხორცებულ დევნილ ქალბატონებს.

მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი მოწიწება და სოლიდარობა უკრაინელი უშიშარი დედების მიმართ.

ყველა დედას მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას, ქვეყნისთვის საამაყო შვილების აღზრდას ვუსურვებ. შვილებს კი ჰქონოდეთ უნარი, სითბო და სიყვარული არ მოაკლონ ძვირფას დედებს” - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

## გენო ადამია - 86




86 წელი გავიდა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის, სენაკის ღირსეული შვილის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას დაბადებიდან.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბალათურიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გმირის ხსოვნას პატივი მიაგო.

გენო ადამიამ, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების პირველივე დღიდან, მოხალისეები შემოიკრიბა. ის თანამებრძოლებთან ერთად ბოლომდე იბრძოდა. სოხუმის დაცემის შემდეგაც კი უარი თქვა დანებებაზე.

1993 წლის 28 სექტემბერს, გენო ადამია კოდორის ხიდთან მაშინ მოკლეს, როცა სოხუმში შესვლას ცდილობდა.

ოთხი თვის შემდეგ, მისი ნეშტი, საქართველოში გადმოასვენეს და სამხედრო პატივით, ქართულ მიწას მიაბარეს. 2020 წელს გენო ადამიას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ასევე, გმირის სახელობის გახდა სენაკის პირველი საჯარო სკოლა.

## საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრში



სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს ესტუმრა, ცენტრში მომუშავე ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

,,ძვირფასო ქალბატონებო, ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ. გულწრფელ სიყვარულს და პატივისცემას გამოვხატავ ჩვენი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონების მიმართ. გადავწყვიტეთ, 8 მარტი საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრში მომუშავე ქალბატონებისა და მეეზოვე ქალბატონებისთვის სიმბოლური საჩუქრებით მიგველოცა. ჩვენი ქალაქის ყოველი დილა ხომ მეეზოვე ქალბატონების შრომით იწყება. ისინი უქმე დღეების მიუხედავად, ქალაქის სისუფთავეზე ყოველდღიურად ზრუნავენ. მათი დაუღალავი შრომა დასაფასებელია. მადლობა, მათ, გაწეული სამსახურისთვის...“ - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

## ჰუმანიტარული დახმარება



სენაკის მუნიციპალიტეტში, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად გახსნილ ჰუმანიტარული ტვირთის მიმღებ ცენტრში, ჰუმანიტარული დახმარება შეგროვდა და გაიგზავნა.

ჰუმანიტარულ აქციაში მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები, სენაკის ბავშვთა საავადმყოფო, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებები, სკოლამდელი აღზრდის სექტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სხვა მუნიციპალური აიპ-ები, შპს-ები, საჯარო სკოლები, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა- გიმნაზია, ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესსექტორი აქტიურად იყვნენ ჩართულები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდან ასევე გამოიყო 20 000 ლარი.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 64 000 ლარი გამოიყო.

ადმინისტრაციული ერთეულის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ შერჩეული შემდეგი პროექტები განხორციელდა: ცემენტობეტონის საფარის მოწყობა და გზის მოხრეშვის სამუშაოები - სოფელ ციზეთში; სავალი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია - სოფელ საადანაიოში; ცხაურისა და გარე განათების მოწყობა - სოფელ პატარა ზანაში; შიდა საუბნო გზების მოხრეშვა - სოფელ შუა ხორშში.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარი გამოიყო.

პროგრამის ფარგლებში 62 პროექტი განხორციელდა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შესრულდა.

## სოციალური მხარდაჭერის აქცია

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის სოციალური მხარდაჭერის კამპანიას ახორციელებს.



კამპანიის ფარგლებში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრი, დავით ფაცაცია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, დევნილთა მინისტრის პირველი მოადგილე, გურამ მისაბიშვილი, მოადგილე, ანზორ მარგიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სენაკში, დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდნენ.

აფხაზეთის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საბავშვო ბაღ ,,ოცნების“ აღსაზრდელებს, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისიისგან“ მიღებული საჩუქრები გადასცეს.

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისიის“ (IHRC) მხარდაჭერით, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თანადგომის აქციები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

## ღვაწლმოსილ ქალბატონებს მიენიჭათ



სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ და გამორჩეულ სენაკელ ქალბატონებს, სენაკის საპატიო მოქალაქის სიგელები გადასცა.

სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორს, დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ექიმ-პედიატრს, **ლუარა დგებუაძეს** - ხანგრძლივი, წარმატებული, ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობის, მედიცინის სფეროსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორის მოადგილეს, ღვაწლმოსილ ექიმ-პედიატრს, **იამზე ხარებავას** - მედიცინის სფეროში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის;

ძირძველ სენაკელს, ქალაქის კოლორიტს, ღვაწლმოსილ ქალბატონს, **ზაირა ფაჩულიას** - ნაყოფიერი, შემოქმედებითი, ხანგრძლივი პროფესიული მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის;

ძირძველ ასირიელ სენაკელს, ქალაქის კოლორიტს, ამაგდარ ქალბატონს **ხანა მაზრაშვილს** - საზოგადოების მსახურებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და წლების მანძილზე უანგაროდ გაწეული ქველმოქმედებისთვის.

,,თქვენი განვლილი ცხოვრება და გამორჩეული ღვაწლი, თითოეული ჩვენგანისთვის, მნიშვნელოვანი და საამაყოა. გულითადად გილოცავთ დამსახურებულ წოდებას. დღეგრძელ სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ“ - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ

## შეხვედრა ევროპის ჩემპიონ გიორგი ჩხიკვაძესთან



სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, 20 წლის სენაკელ ფალავანს, გიორგი ჩხიკვაძეს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული ტიტული მიულოცა. ჩემპიონატი ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გაიმართა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერია სენაკელ ჩემპიონს ფულად ჯილდოს გადასცემს.

ჩემპიონთან ერთად სენაკის მერი მის მწვრთნელებს - ამირან დავითაიას და ვალერი მურღულიას შეხვდა.

გიორგი ჩხიკვაძეს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული, არის: ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ჭაბუკთა შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონი.

გიორგი ჩხიკვაძე ფლობს საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და წლის წარმატებული სპორტსმენის ტიტულებსაც.

## მოსწავლეების დაჯილდოება



სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს - ანი ესართიას, საბა ხაბურზანიას, ლევან ჭანტურიას და მათ მენტორ მასწავლებელს, ტოლია (უტა) კილასონიას შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ანი ესართიას და საბა ხაბურზანიას, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში - ,,ლეონადრო და ვინჩი“ გამარჯვება, ლევან ჭანტურიას კი - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო MCA-Georgia-ს მიერ გამართულ ინოვაციის კონკურსში გუნდ ,,GOAL DIGGERS“-თან ერთად, მესამე ადგილის მოპოვება მიულოცა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ სკოლა-გიმნაზიის სამივე მოსწავლეს ფულადი ჯილდო გადასცა.

წლების მანძილზე, მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, მენტორმა მასწავლებელმა, ტოლია (უტა) კილასონიამ, მაღალი პროფესიონალიზმითა და ინოვაციური მიდგომებით, საუკეთესო შედეგებს მიაღწია. მისი ხელმძღვანელობით, მართლმადიდებლურმა სკოლა-გიმნაზიამ მრავალგზის მოიპოვა წარმატება პრესტიჟულ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებზე.

## ნორჩ ფეხბურთელებთან შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის წევრებს და მათ მწვრთნელს, მურად კუპრეიშვილს შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა მათ მოპოვებული გამარჯვება მიულოცა, ფეხბურთელთა გუნდის თითოეულ წევრს და მათ მწვრთნელს ფულადი ჯილდო გადასცა და შემდგომი წარმატება უსურვა.



საფეხბურთო კლუბის 2009-2010 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი 2021 წლის სამეგრელო-ზემო სვანეთის ასაკობრივი რეგიონალური ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

## რეაბილიტირებული N1 ბაგა-ბაღი

სასწავლო პროცესი განახლდა ახლადრეაბილიტირებულ №1 ბაგა-ბაღში, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სააღმზრდელო, სასაწყობე ოთახებს, სველ წერტილებს, გარე ფასადს; გამოიცვალა ფანჯრები, განხორცილედა საკონცერტო დარბაზის კეთილმოწყობისა და სამზარეულო შენობის გადახურვის სამუშაოები.



სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

სასწავლო პროცესი ჯანდაცვის მიერ დადგენილი რეგულაციების და სანიტარული ნორმების სრული დაცვით დაიწყო. მანამ კი, მუნიციპალიტეტის 27-ვე სააღმზრდელო დაწესებულებას სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში, ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, დაიწყება 100 აღსაზრდელზე გათვლილი, №3 ბაგა-ბაღის მშენებლობის უანალოგო პროექტის განხორციელების პროცესი.

(გაგრძელება გვ 3)

**<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>**
**(დასასრული)**

# საინფორმაციო შეხვედრა




სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის რეგიონული კოორდინატორი, ანი ბუკია უძღვებოდა.

შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

პროექტი - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“, საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტი, რომლის ბიუჯეტი 74 მილიონი აშშ დოლარია, 7 წლის განმავლობაში ხორციელდება და მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებით განპირობებული კატასტროფების რისკების შემცირებას, ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას და მრავალფაქტორიანი საფრთხეების მართვის ეფექტიანი ეროვნული სისტემის დანერგვას, რაც უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები 1.7 მილიონი ადამიანის წყალდიდობებისგან, გვალვისა და სხვა საფრთხეებისგან დაცვას.

პროექტი 7 ბუნებრივ საფრთხეს - წყალდიდობა, სეტყვა, ღვარცოფი, ძლიერი ქარი, გვალვა, მეწყერი, ზვავი - შეეხება, 11 მდინარის - ენგურის, ჭოროხი-აჭარისწყლის, სუფსას, ნატანების, ხობის, კინტრიშის, მტკვრის, არაგვის, ხრამი-ქციას, ალაზნისა და იორის აუზებში ხორციელდება და 10 ყველაზე მოწყვლად მუნიციპალიტეტს - ქობულეთი, ხობი, სენაკი, აბაშა, სამტრედია, გორი, ახმეტა, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი - მოიცავს.

პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და რისკების მართვის სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული კომპონენტის განმახორციელებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

# წარმატებული მოსწავლე



სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, გენო ადამიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მე-5 კლასის წარმატებულ მოსწავლეს, ლიზი გვაძაბიას შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ლიზის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის - „მეცნიერების კალენდარი 2021“ ფარგლებში გამოცხადებულ სამეცნიერო თემატიკის ნახატების ეროვნულ კონკურსში მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდა სენაკელ შემოქმედს ფულადი ჯილდო გადასცა.

**მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება**

# ჟიული შარტავა - ქართული გენის უკვდავების სიმბოლო

7 მარტს საქართველოს ეროვნულ გმირს, სენაკის გამორჩეულ შვილს-ჟიული შარტავას 78 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ჟიული შარტავას მუზეუმმა კულტურის ცენტრთან შეთანხმებით შეიმუშავა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. დილიდან ხალხმრავლობა იყო მუზეუმში, სადაც თავი მოიყარეს კულტურისა და განათლების სისტემის მუშაკებმა, აფხაზეთის ომში დაღუპული ოჯახების ახლობლებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, აფხაზეთიდან დევნილებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ. თავდაპირველად მათ ფოიეში დაათვალიერეს გმირის ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა.

დარბაზში შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ: ,,ბატონმა ჟიულიმ არც ისე დიდხანს იცოცხლა, სულ 49 წელი, მაგრამ საოცრად ლამაზად იცხოვრა და თავისი სიკვდილით-უკვდავება დაიმკვიდრა. ულვთო იყო მისი სიკვდილი.ის შეეწირა საქართველოს, პატიოსნებასა და კაიკაცობას”. ქალბატონმა მარინემ გაიხსენა შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრები: ქალბატონი ფენია დარასელია, ბატონები კალისტრატე და სოსო შარტავები. მოიგონა ჩვენი თანაქალაქელები, აწ გარდაცვლილები: გენო ადამია, გურამ გაბესკირია, ლევან ჭუბაბრია, ნოდარ კანკია, რობერტ სანიკიძე, ლინა ეჯიბია და ოთარ გოგოხია. დასახელებულთაგან გენო, გურამი და ლევანი მარტის თვეში იყვნენ დაბადებულნი. მ. აბრამიამ მიუსამძიმრა გენო ადამიას ოჯახს ქალბატონი ლერას გარდაცვალება. მან დამსწრეთ ყურადღება მიაპყრო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებაზე, იქ დატრიალებულ მძიმე დღეებზე...

შეკრების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას.

მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ნანა ფირცხალავამ ისაუბრა ჟიული შარტავას დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ტელეკომპანია TV-4-ის მიერ 2019 წელს გადაღებული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ,,ორივე მხარეს საქართველოა”. ფილმის გადამღები ჯგუფი, ავტორის ქალბატონ თათია ნანობაშვილის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა სენაკში, ისინი ეწვივნენ ჟიული შარტავას მუზეუმსაც. ფილმში გამოყენებულია მუზეუმში დაცული მემორიალური ნივთები და ფოტომასალა. ამასთან ნანა ფირცხალავა შეეხო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინასა და უკრაინელ ხალხს.







ემოციურად მძიმედ დატვირთული იყო აფხაზეთიდან დევნილების, სენაკის პედაგოგიური საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების ქალბატონების ნარგიზა ნარსიას, ინგა ზარანდიასა და ლეილა გაბისკირიას გამოსვლები.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა დამირ კუჭავამ თბილად მოიგონა შარტავების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები, ისაუბრა კაცზე, რომელიც ქედუხრელად შეეწირა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას და თავის გამოსვლა დაასრულა საკუთარი ლექსის წაკითხვით.

სატელეფონო საუბრით ჟიული შარტავასა დამ ქალბატონმა ცისანამ, კეთილი განწყობა და დიდი სიყვარული გამოხატა: ,,მადლობა ჩემი ძმის- ჟიულის, შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრებისა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების მოგონებისათვის. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ყურადღებისათვის. მადლობა და დიდი სიყვარული მუზეუმის მთელ კოლექტივს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. შორიდან დიდი სიყვარულით ვეფერები და ვულოცავ ქალთა პერსონალს გაზაფხულის დღესასწაულებს”.

სიტყვით გამოსვლებს პერიოდულად ენაცვლებოდა და მთელ ღონისძიებას ერთგვარ სევდიან ფონად გასდევდა დიმიტრი კაკულიას, ილია ცომაიასა და რატი სარიას მიერ შესრულებული საგალობლები.

დასასრულს შეკრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბატონმა გრიგოლ ბაღათურიამ. მან დამსწრეთ შეახსენა ჟიული შარტავას ცხოვრების წლები, სამშობლოსათვის გმირული თავდადების ეპიზოდები... მადლობა გადაუხადა ქალბატონ მარინე აბრამიასა და მუზეუმის კოლექტივს ღონისძიების ლამაზი ჩანაფიქრისა და მისი ღირსეულად ჩატარებისათვის.

შეკრებას ესწრებოდნენ მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ბადრი ქუთელია, საკრებულოს წევრი ბადრი კალანდარიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ზარანდია, ხელოვნების ცენტრის დირექტორი ვეფხია ვეფხვაძე.

ჩატარებული ღონისძიების შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე ბატონებმა ანზორ ცაგურიამ და გურამ ადანაიამ აღნიშნეს, რომ კიდევ ერთხელ შეკრებილმა საზოგადოებამ პატივი მიაგო გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ქვეყნის ერთიანობისათვის დაცვას შესწირეს. ღონისძიების დამსწრე ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის მერვე კლასისი მოსწავლეებმა და კლასის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლია თევდორაძემ განავითარეს აზრი... ,,ჟიული შარტავამ და აფხაზეთის ომის გმირებმა მომავალ თაობას მამულიშვილობის წარუშლელი მაგალითები დაუტოვეს”.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით 7 მარტს ჟიული შარტავას ხსოვნისადმი პატივის მიგების მიზნით სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით. პედაგოგიურმა საზოგადოებამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ ყვავილებით შეამკეს მისი ბიუსტი.

მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აღნიშნული თარილისადმი მიძღვნილი თემატურ გამოფენას ,,ზვარაკად შეწირული სიცოცხლე”.

შემდგომ შეკრების მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სკვერში კი გენო ადამიას, გურამ გაბისკირიას და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა აღავლინა ჟიული შარტავას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაღუპული პირებისა და უკრაინის ომში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

თაობებს მუდამ ემახსოვრებათ ჟიული შარტავა. ადამიანი, რომელმაც შეგნებულად მიიტანა თავის სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე, რათა შთამომავლობა ყოფილიყო ბედნიერი, საქართველო კი ერთიანი და თავისუფალი.

**მ. ეჯიბია**

## ჟიული შარტავა -78

**სამშობლოს ბედზე ნათენებ ღამეს,**
**და სულს მოფენილს მადლით ღვთიურით,**
**გულით გილოცავ სამოცდათვრამეტს**
**ჩვენო ძვირფასო, ჩვენო ჟიული.**
**იყავი კაცი ბრძენი და ნაღდი,**
**ვეღარ გუობდი ცრუსა და ვერაგს,**
**და უკვდავება ჯიღად დაადგი**
**შენს საქართველოს, შენს მშობელ სენაკს.**
**ირგვლივ ნათელი გადაჰფენია**
**დიდს და პატარას, ბავშვსაც და ბრძენსაც,**
**მონატრებიხარ ყველა ჩვენიანს,**
**შენს დიდ საბუდარს მუზეუმს შენსას.**
**ისევ ვიხსენებთ შენს შემართებას,**
**კვლავ გვაძლიერებ სიკეთის რწმენით,**
**შენ აწი წლები არ გემატება-**
**უკვდავებაა სახელი შენი.**

**დამირ კუჭავა**



გაზეთ ,,კოლხეთის” რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს უკრაინის ქალაქ მარიუპოლში სენაკელი **ბახვა ჩიქობავას** გმირულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე

1819 წლის 21 მარტს (ძველი სტილით 8 მარტს), გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი. აქედან გამომდინარე 1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაარსდა ქართული ჟურნალისტიკის დღე.

რთულია ჟურნალისტის პროფესია. ის გამუდმებით ძიებასა და დაუღალავ შრომას მოითხოვს. არ არის ადვილი ინფორმაციის მოძიება, მისი საინტერესოდ და ადეკვატურად გადმოცემა.

ყველაზე მთავარი, რაც ჟურნალისტს მოეთხოვება არის ის, რომ მან ინფორმაცია იმ ფაქტებზე დაყრდნობით მიაწოდოს მკითხველს თუ მაყურებელს., რომლის წყარო დადასტურებულია.

მძიმეა ჟურნალისტის პროფესია მშვიდობის და ომიანობის დროს. ჩვენმა ისტორიამ შემოინახა საქართველოს ტერტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლას შეწირულ ჟურნალისტთა სახელები, აფხაზეთში, ცხინვალში.

დღეს უკრაინაში ფრონტის ხაზთან უშიშრად დგანან ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ამზადებდნენ სატელევიზიო თუ საგაზეთო რეპორტაჟებს. ოთხი ჟურნალისტი ემსხვერპლა კიდეც უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე წუთების ამსახველი კადრების მოპოვებას პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს.

სენაკელი ჟურნალისტები ვუერთდებით მილიონობით მშვიდობისმყოფელ ადამიანთა ხმას და უსაფრთხოებას ვუსურვებთ ფრონტის ხაზთან მყოფ ჟურნალისტებს და მოსახლეობას, რომლებიც ეწირებიან თავსმოხვეულ აგრესიას.

ჩვენი ნომრის სტუმრები, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი ქალბატონი Lლეილა ლემონჯავა, ტელეკომპანია „ეგრისის" ჟურნალისტი ჯემალ ღამბაშიძე საუბრობენ მედიასაშუალებების წინაშე მდგარ გამოწვევებზე.

## მედიის როლი მნიშვნელოვანია

*მასმედიის ყველა წარმომადგენელს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს - ქართული ჟურნალისტიკის დღეს.*

*მედიის როლი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანესია.*

*ჩვენი ქალაქი ამ მხრივაც გამორჩეულია - 1 მაისს, დაარსებიდან 99 წელი შეუსრულდება თითქმის საუკუნოვან მემატიანეს - გაზეთ ,,კოლხეთს, რომელიც დღესაც ღირსეულად დგას ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სამსახურში.*

*ამ დღეს განსაკუთრებით ვულოცავ ჩვენს მუნიციპალიტეტსა და რეგიონში მოღვაწე ჟურნალისტებს.*

*ქედს ვიხრი იმ ადამიანების ხსოვნის წინაშე, რომელთაც ჩვენი ქალაქის სინამდვილეში, ამ სფეროს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.*

*გილოცავთ! წარმატებებით გევლოთ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში.*

*ვახტანგ გადელია,*
*სენაკის მუნიციპალიტეტის მერი*

## მოსალოდნელია ბეჭდური მედიის როლის შესუსტება



**ქალბატონო ლეილა, თქვენ რამდენიმე ათეული წელი ეწეოდით ჟურნალისტურ საქმიანობას, განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა გაზეთი ,,პოსტკოლხა", რომლის რედაქტორი იყავით, ამ გადასახედიდან როგორ გრძნობდით თავს ,,მიუკერძოებული და ობიექტური ჟურნალისტის" ამპლუაში.**

ბავშვობიდან ვწერდი ლექსებსა და ჩანახატებს , რაც ჩემი მშობლიური რაიონის (ჩხოროწყუს) ადგილობრივ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა. პირველი კურსის სტუდენტი (დაუსწრებლად ვსწავლობდი) უკვე ვმუშაობდი მშობლიური ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის რედაქციაში. კარგად ვერ გავიგე ,,მიუკერძოებელი და ობიექტური ჟურნალისტი", ალბათ გულისხმობთ საკუთარ გაზეთს, რომელიც წლების წინ დავაფუძნე. საქმისადმი, ამა თუ იმ მოვლენისადმი ობიექტური მიდგომა ყოველთვის იყო ჩემი ძირითადი მახასიათებელი. თავს მშვენივრად ვგრძნობდი, რადგან ვამბობდი იმას, რაც უნდა მეთქვა, როგორც ჟურნალისტს. არც არავისი მეშინოდა და არც არავის ვაშინებდი. დღესაც მიმაჩნია, რომ ჟურნალისტის ნათქვამი სიმართლე ყურადსაღებია. არ არის მისაღები არც შანტაჟი და არც პირფერობა. ჟურნალისტი მხოლოდ სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს. მაშინაა მისი კალამი საინტერესო და საყურადღებოა.

**თქვენ თავად, რომელს ანიჭებთ უპირატესობას ელექტრონულ თუ ბეჭდურ მედიას, თქვენი აზრით ხომ არ არის მოსალოდნელი თანდათან ბეჭდური მედიის როლის შესუსტება?**

რა თქმა უნდა უპირატესობას ვანიჭებ ბეჭდურ მედიას. დღეს ახალი თაობა უფრო მეტად არის დაინტრესებული ელექტრონული მედიით, ინტერნეტ ტელევიზიებით. ჩემი აზრით მართლაც არსებობს რეალური საშიშროება ბეჭდური მედიის როლის შესუსტებისა.

**თქვენ არაერთი წიგნის ავტორი ბრძანდებით, რომელს გამოყოფდით თქვენი შემოქმედებიდან?**

მე ჩემს თითოეულ ნაწარმოებთან სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული, ყველა საკუთარი შვილივით მიყვარს, განსაკუთრებით გამორჩეულია ჩემთვის რომანი „ჟამი და უფალი".

**21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა, რას უსურვებთ თქვენს კოლეგებს, ქართველ ჟურნალისტებს?**

ჩემს კოლეგებს--ქართველ ჟურნალისტებს ვურჩევ ყოველთვის იყვნენ ობიექტურნი. უყვარდეთ თავიანთი პროფესია--ჩემი აზრით, ერთ-ერთი გამორჩეული და იყონ გულწრფელნი თავიანთი საქმისადმი, რაც უტყუარი წინაპირობაა მკითხველის დაინტერესებისა და მისგან დადებითად შეფასებისა.

მ. შამათავა

## ვცდილობ ვიყო ობიექტური



**ბატონო ჯემალ, თვლით თუ არა თქვენს მიერ გადადგმულ პროფესიულ ნაბიჯებს რთულად და ამავე დროს საპასუხისმგებლოდ?**

ზოგადად, ჟურნალისტიკაში მეცხრე წელია ვარ. პირველი ნაბიჯები გაზეთ „ხობის მოამბეში" გადავდგი, შემდეგ იყო ტელეკომპანია „მეცხრე ტალღა" და მას შემდეგ არაერთ მედიასაშუალებაში მიმუშავია, მათ შორის „ინფო 9", ინტერნეტ გამოცემა - mpress ge და ა.შ. ამჟამად, უკვე მესამე წელია, ვარ ტელეკომპანია „ეგრისის" ჟურნალისტი.

ასევე, ვმუშაობ მედიასახლ „გურია ნიუსის" სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს კორესპონდენტად. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ჩემი მაყურებელი და მკითხველი. ყოველთვის ვცდილობ, ვიყო ობიექტური და მქონდეს ამომწურავი ინფორმაცია...

იყო ჟურნალისტი ძალიან დიდი პატივი და ამავდროულად, საპასუხისმგებლო საქმეა. ჩემი ოცნებაა, ცხელ წერტილში ვიმუშაო. დიდი სიამოვნებით გავაშუქებდი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და ჩემს წვლილს შევიტანდი,რომ აგრესორი რუსეთის სახე დაინახოს მსოფლიომ.

**– რა პარალელს გაავლებდით ელექტრონულ და ბეჭდურ მედიას შორის, მიგაჩნიათ თუ არა რომ ელექტრონულ მედიას უპირატესობა აქვს ბეჭდურ მედიასთან შედარებით?**

– რა თქმა უნდა, ელექტრონული მედია უფრო ადრე ავრცელებს და შესაბამისად, მაყურებელი გაცილებით ადრე იგებს ინფორმაციას. მოგეხსნებათ, გაზეთს გარკვეული დრო აქვს, შესაბამისად, ოპერატიულობა აქ მიმდინარე ამბებზე ვერ იქნება.

**როგორია თქვენი სურვილები ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით?**

მოგეხსენებათ, ქართული ჟურნალისტიკის დღე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1993 წელს ერთობლივად დააწესეს. მინდა, ვისარგებლო თქვენი გაზეთით და კიდევ ერთხელ მივულოცო კოლეგებს პროფესიული დღე. ვუსურვებ, ყოველთვის ყოფილიყვნენ ღირებულებებისა და პრინციპების ერთგულნი და რაც მთავარია, ღირსეულად ემსახურონ საკუთარ პროფესიას და საზოგადოებას.

მ. შონია

## კიდევ ერთი წიგნი სენაკელებზე

რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენს კოპწია სენაკზე, ჩვენს საფიცარ ქალაქსა და მუნიციპალიტეტზე იწერება და გამოიცემა წიგნები მის წარსულსა და განვლილ წლებზე. ბატონმა ვიტალი ხარჩილაძემ, რომელსაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ოჯახთან ერთად მოუწია ცხოვრება და სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობა, მოგონების ფურცლებს ანდო განვლილი წლების განცდები და წიგნად აქცია ის, რომელსაც „კოლხეთის მარგალიტები „ უწოდა.

წიგნში არის ისეთი აზრები, ისეთი ხასიათის მსჯელობები, დასკვნები და განზოგადებანი, ფოტო სურათებით მდიდარი, რომელიც აღძრავს სურვილს ინტერესით ბოლომდე გაეცნო, წაიკითხო, ნახო და დატკბე. გაიხსენო ის ადამიანები, რომლებიც გარკვეული წლები ქმნიდნენ სენაკის ღირსებას. იყვნენ კოლორიტები. ზრუნავდნენ რაიონის ცხოვრების წესზე. თავიანთი შემოქმედებითა და ღვაწლით გვიჩვენებდნენ მაგალითს, რომელიც ნამდვილად გამოსადეგარია დღევანდელი ახალგაზრდობისთვის.

ვარ ადამიანი, რომელმაც მოკრძალებული შრომა გავწიე წარსულის მოკვლევასა და წარმოჩენისთვის, ღირსეულთა დაფასებისთვის. ამიტომ ჩემთვის მეტად ძვირფასია ვ, ხარშილაძის წიგნი. ეს გახლავთ მადლობა




სენაკსა და სენაკელებს. სწორედ ძვირფასი საზოგადოება გვაძლევს მათი შრომის და საქმიანობის აღწერის, მათი მოუსვენარი, მარად აჩქარებული გულისცემის, მუხლჩაუხრელი ღვაწლისა და ქალაქის სიყვარულისთვის გაღებული ენერგიის აღწერის საშუალებას. სწორედ წინაპრების მოუსვენრობა, ხელდაკაპიწებული შრომა, მათი სულის დუღილი და გულის ძგერას გაჰქონდა დიდების და გამარჯვების ლელო.

გახსენება, მადლია კეთილი ნების გამოვლინების.

ბორის დავითაია
სენაკის საპატიო მოქალაქე

21 მარტი-ქართული ჟურნალისტიკის დღე

# რეგიონალური პრესა რჩება სამამულო ჟურნალისტიკის ფენომენად



*საზოგადოება ჟურნალისტისაგან მოითხოვს სიმართლის წარმოჩენას, ნაკლოვანებების ხმამაღლა თქმას. ახალი ინფორმაციის მიწოდებას, მომავლის პერსპექტივის გაჩენას.*

*ჩვენი ნომრის საპატიო სტუმარი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სოციალურ-მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სერგეი მესხისა და ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის მფლობელი, მწერალი და პუბლიცისტი ბატონი ვაჟა დანელია, მაღალპროფესიულად მოღვაწეობს, როგორც ჟურნალისტიკის, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში.*

*იგი აქტიურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს დღესაც გაზეთ „კოლხეთთან“. სხვადასხვა წლებში იყო ,,ახალგაზრდა კომუნისტის" და „მოლოდიოჟ გრუზიას“ კორესპონდენტი. ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციების“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ჟურნალ „საჭადრაკო სამყაროს“ რედაქტორი, გაზეთ „დილის გაზეთის“ სპორტის განყოფილების რედაქტორი, გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლელოს“ კორესპონდენტი. ვაჟა დანელია 31 სამეცნიერო ნაშრომისა და 19 წიგნის ავტორია. სხვადასხვა წლებში მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის ქალაქებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში. დაჯილდოებულია შესაბამისი დიპლომებითა და სერტიფიკატებით.*

*ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ბატონ ვაჟას და ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება მისი დამოკიდებულება რეგიონალური მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტური ეთიკისადმი.*

**ბატონო ვაჟა, მრავალი ათეული წელია, ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევით. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პროფესიის ადამიანების მიმართ?**

ჟურნალისტობა, მოგეხსენებათ, ძალიან საგულისყურო, მაგრამ ამავდროულად რთული პროფესიაა, რადგან ჟურნალისტის მოვალეობაა, ხალხს უთხრას სიმართლე იმის შესახებ, რაც ქვეყანასა თუ მსოფლიოში ხდება. ეს კი ყოველთვის არ არის იოლი. ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობით ინფორმაციას იარაღის ძალა აქვს, საზოგადოების ქცევასა თუ შეხედულებებზე გავლენას ახდენს, ამიტომ თავად უნდა იყო მეტად პასუხისმგებლიანი, უაღრესად მორალური. დავძენ იმასაც, რომ ჟურნალისტობა განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში სიცოცხლისთვის საშიშ პროფესიად იქცა, რადგან მართალი სიტყვის თქმას, სამწუხაროდ, უამრავი პროფესიონალის სიცოცხლე ეწირება. დღეს ჟურნალისტობა დანაღმულ ველზე გავლას ჰგავს.

ყოველდღიური ემოციური დაძაბულობის, არანორმირებული სამუშაო დღის, უცხო ადამიანების პრობლემათა ტვირთისა თუ სხვა სირთულეების მიუხედავად, მე მიყვარს ეს პროფესია, რადგან ის ჩემი ცხოვრების წესი გახდა და უაღრესად დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროს გულანთებითა და პატიოსნად ემსახურებიან. ვფიქრობ, ჟურნალისტიკაში ჩემი ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობაც ამ სიყვარულის დასტურია. ბედნიერებაა, როცა იმ საქმეს აკეთებ, რომელიც გიყვარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჟურნალისტობა რთული და მეტად საჭირო პროფესიაა, რადგან ჟურნალისტები კრებენ და ავრცელებენ ინფორმაციას, ურომლისოდაც ცხოვრება წარმოუდგენელია. ორი საუკუნის წინათ გერმანელი ბანკირის - ნათან როტშილდის ნათქვამი ფრთიანი ფრაზა - ვინც ინფორმაციას ფლობს, ის მსოფლიოს მპყრობელიაო, სულ უფრო მეტ სიცხადეს იძენს.

საბჭოთა ეპოქისაგან განსხვავებით, მასმედიის დღევანდელ მუშაკებს მართალი სიტყვის თქმის მეტი თავისუფლება აქვთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი თავისუფლება პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რადგან თავისუფლება ნებას არ ნიშნავს. ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეში დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ ბრძანა - „თავისუფალია ის, ვისაც ემოციების მართვა შეუძლია“.

**რა თვისებები გამოარჩევს დღეს რეგიონულ მედიას ცენტრალური ბეჭდური მედიისგან?**

უდავოა, რომ მუნიციპალური მედია პიროვნების ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, ზნეობრივ პრინციპებზე ახდენს გავლენას. ის უპასუხებს კითხვაზე - ვინ არის ჩვენი დროის გმირი. სამწუხაროდ, დღევანდელი ცენტრალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთების ფურცლებიდან ადამიანი, ფაქტობრივად, გაუჩინარდა - ადგილი ეთმობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფორმაციებს, დებატებს, სიახლეებს, სენსაციებს. პორტრეტულ ესეებს, უმთავრესად, პორტრეტული ინტერვიუები ჩაენაცვლა... აი, ადგილობრივი პრესა კი ძველ გზას არ კარგავს: შეინარჩუნა ჟურნალისტიკის ტრადიციული ჟანრები - ჩანახატები, მიმოხილვები, მხარეთმცოდნეობისა თუ სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, ესეები... განაგრძობს წერას ადამიანებზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი თანამედროვეები. ძალიან მესიამოვნა ამას წინათ „კოლხეთში“ სენაკის საპატიო მოქალაქეებზე გამოქვეყნებული უაღრესად თბილი წერილები. და ეს არ არის ერთეული შემთხვევა - თქვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად იწერება სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა თუ სოციალური მდგომარეობის ადამიანებზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა აუდიტორიასთან უკუკავშირის ტრადიციის შენარჩუნება - რეგიონულ მედიაში იბეჭდება გამოხმაურებები, მკითხველთა მოსაზრებები და მათი ფოტოები, ლექსები და ნოველები, მცირე ზომის მოთხრობები, ბავშვების ნახატები. ყოველივე ეს მკითხველთა შესანარჩუნებლად ერთობ მნიშვნელოვანია.

**აქვს თუ არა ადგილობრივ გაზეთს ისეთი ძალა და ენერგეტიკა, რომ შეძლოს კონკურენცია გაუწიოს ელექტრონულ მედიას, სოციალურ ქსელებს, სკანდალურ ტელევიზიებს...**

მედიასფეროში სწრაფი ცვლილებებისა და ინტერნეტსაიტებთან კონკურენციის შედეგად პრესას ახლა მძიმე პერიოდი უდგას, განსაკუთრებით - პერიფერიებში. ინტერნეტი, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმად გარდაიქმნა და ძალიან პოპულარული გახდა, დაუნდობლად თრგუნავს ტრადიციულ მედიას, რომელიც მასთან ჭიდილში მკითხველს კარგავს. ექსპერტთა წრეებში კარგა ხანია გამოიკვეთა ის აზრი, რომ, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს საზოგადოებამ საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტულ ბეჭდვურ მედიას ადგილი ისტორიაში მიუჩინოს. თუმცა მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ ამგვარი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. საამისოდ ერთ მოსაზრებას დავიმოწმებ: ცნობილი ამერიკელი მედიამაგნატი ენდრიუ ჰერსტი აღნიშნავს - „იმის მიუხედავად, რომ, როგორც ონლაინ ახალი ამბების რედაქტორი, ახალი მედიის წარმომადგენლად ვითვლები და თითქმის მთელ დღეს კომპიუტერის წინ ვატარებ, გაზეთის დიდი ფანი ვარ. გაზეთები და ჟურნალები ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტიანი სისტემებია და ინტერნეტნიუსი, მართალია, ყველას დიდ რამედ მიაჩნია, მათ ვერ შეედრება“.

როგორც ვხედავთ, პესიმისტური განწყობისთვის ჯერჯერობით საბაბი არ არსებობს. გაზეთები, განსაკუთრებით უცხოეთში, დღესაც დიდი ტირაჟებით იბეჭდება და მედიაბაზარზეც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ცხადია, სირთულეები იქნება და გამომცემლობებს სიახლეებისა თუ მკითხველთა მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა მოუწევთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაზეთების აღგვას პირისაგან მიწისა. თავის დროზე გაზეთის გამოჩენამ თითქოს წიგნის არსებობას შეუქმნა საშიშროება, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. მერე რადიომ გაზეთის არსებობა გახადა სათუო, რადიო - ტელევიზიამ, ეს უკანასკნელი - ინტერნეტმა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ყველას თავისი ფუნქცია აკისრია, თავ-თავისი მომხმარებელი ჰყავს და, ვფიქრობ, მომავალშიც ასე იქნება.

**რა ბედი ეწევა რეგიონულ გაზეთებს?**

დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ რეგიონული პრესა იყო და რჩება სამამულო ჟურნალისტიკის ფენომენად: მუნიციპალურ გაზეთს ადგილობრივ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, რადგან ის ყველაზე მეტად გრძნობს მოსახლეობის მაჯისცემას. მართალია, არის გარკვეული პრობლემები, თუმცა ასეთი პრესა მაინც მოთხოვნადია: ჯერ ერთი, რომ ხელისუფლებამ კარგად იცის პერიოდული გამოცემის პროპაგანდისტული შესაძლებლობები, და, მეორეც, ადგილობრივ მკითხველს ტელევიზიითა და ინტერნეტით გლობალური მასშტაბის მოვლენების შეტყობასთან ერთად მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოვრების ამბების გაცნობაც სწადია.

ადგილობრივი პრესა კი რეგიონის ისტორიული მეხსიერების ბარათია - ის მუნიციპალიტეტის მატიანეს ქმნის. რამდენიმე წლის წინათ, ბატონი ანზორ ცაგურია და მე სენაკის სპორტის ისტორიას რომ ვწერდით, უამრავი საგულისყურო მასალა სწორედ გაზეთ „კოლხეთის“ ფურცლებზე მოვიძიეთ.

ცხადია, ინტერნეტის უპირატესობა აშკარაა და პერსპექტივაში მისი უზარმაზარი მომავალიც ნათელია, მაგრამ არის ზოგი რამ, რასაც ვერ გავექცევით: უწინ ქაღალდი ჰყოფდა ადამიანებს ავტორებად და მკითხველებად, ინტერნეტში კი ეს სხვაობა გაქარწყლებულია, რადგან აქ წერა ყველასთვის ხელმისაწვდომია და ინფორმაციის სანდოობის მაკონტროლებელიც არავინაა.

ადამიანები ინტერნეტიდან პასუხს არ აგებენ იმაზე, რასაც წერენ. ინტერნეტი მასობრივი გამოხატვის საშუალებად იქცა, ამიტომაც პუბლიკაციების რიცხვი უკვე მკითხველთა რაოდენობას აჭარბებს და მომავალში ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინო გახდება. ამდენად, ადამიანი ყველაფრის წაკითხვას და აღქმას ვერ შეძლებს, ინტერნეტსიტყვასაც, ალბათ, თანდათან ფასი დაეკარგება. რატომღაც მგონია, რომ, სანდოობის ფაქტორის თვალსაზრისით, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ჭორსაც კი ყოველთვის ინტერნეტის მართალზე მეტი ძალა ექნება. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია.

**ჟურნალისტურ და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწევით. რა არის თქვენი ნაწარმოებების ძირითადი თემა?**

ერთ-ერთი ჩემი ნოველა, რომელსაც „ფორმულა“ ჰქვია, ასე იწყება: „დაცლილ გულს+გაძარცული სული+ატროფირებული გრძნობა = XXI საუკუნეს“. შესაძლოა, ერთობ პესიმისტური შეხედულებაა, მაგრამ იმას, რასაც ჩემ გარშემო ვხედავ, სხვაგვარად ვერ აღვიქვამ. განსაკუთრებით დაცარიელებულ სოფლებზე, მეზობლების იმედად დარჩენილ ხანდაზმულებზე, ადამიანთა შორის დაძაბულ ურთიერთობებზე, ოჯახურ ძალადობაზე მწყდება გული. მართალია, „დედა არ გვახსოვს შვილებსა“ ოდითგანვე იყო ქართველი კაცის სადარდებელი, მაგრამ ასე მასობრივად? ვიცი, ოპონენტები მისაყვედურებენ, ეკონომიკურმა ცხოვრებამ მოიტანაო. ვერ დავეთანხმები, რადგან მეტი სიდუხჭირე მახსოვს გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში, ავადსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩოვის აღზევების ჟამს, როცა მე და ჩემი თანატოლები სკოლაში წასვლამდე, უთენია, წყლით გაჟღენთილი შავი პურის რიგში ვდგებოდით. მგონია, სიმდიდრეს მივეძალეთ... ფუფუნებაში არაა ბედნიერება. ალბათ, მეტყვით, რა უნდა ვქნათ? ზემოთ დასახელებული ფორმულა უნდა წაიშალოს. საამისოდ კი სიყვარულია საჭირო, ჩვენი გულებიდან უმოწყალოდ განდევნილი.

სიყვარული ხომ უკვდავი სულია, უფალი ჩვენი!

**21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. რას უსურვებდით „კოლხეთს“ და, საერთოდ, ჟურნალისტებს?**

-როგორც ჟურნალისტმა, სენაკის რაიონულ გაზეთ „კოლხეთში“ ავიდგი ფეხი გასული საუკუნის 70-იან წლებში, ამიტომ ჩემთვის ორმაგად ძვირფასია ეს გაზეთი და მისი რედაქცია, რომელიც მუდამ ხალხის სამსახურში იდგა; ადამიანების ჭირისა თუ ლხინის წარმოჩენით, რაიონში არსებული პრობლემების წამოჭრითა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებით, სხვა საყურადღებო პუბლიკაციებით ყოველთვის ეკავა რეგიონული ჟურნალისტიკის ისტორიაში საპატიო ადგილი. გაზეთ „კოლხეთის“ ამჟამინდელი უაღრესად ნიჭიერი შემოქმედებითი ჯგუფი წინა თაობების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რაც ძალიან მახარებს.

ვისარგებლებ შემთხვევით და გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციის თანამშრომლებს, საერთოდ, ყველა ჟურნალისტს ქართული ჟურნალიტიკის დღეს მივულოცავ და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

**მოამზადა მედეა ბაღათურიამ**

სენაკი-150

# „ჩემი ცხოვრება განუყოფელია სენაკთან“



*მშობლიური ქალაქის აღმშენებლობა-განვითარებისთვის მუხლჩაუხრელად მოღვაწე, მოქალაქეებისადმი მზრუნველი და კეთილგანწყობილი, თანამეინახეებისთვის სიტყვის და საქმის კაცი, ჩვენთვის ჭკუის საკითხავი პიროვნება, უანგარო, კეთილსინდისიერი, დაუღლელი, ჭირსა შიგან თანამდგომი, ეს მცირედი ჩამონათვალია იმ მახასიათებლების ბატონ ანზორ ცაგურიას რომ ახასიათებს. მას სენაკში, ნებისმიერი სფეროს განვითარებაში, სადაც ხელი მიუწვდებოდა და ჰქონდა შეხება, სული და გული აქვს ჩადებული. ინიციატივიანი, კომუნიკაბელური, ალღოიანი, პასუხისმგებლიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან მეგობრობდა, მათი დაკვალიანება თანადგომით არასოდეს დაღლილა. დიდთან, პატარასთან თუ განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებთან საერთო ენას ყოველთვის პოულობდა. უფროსი თუ უმცროსი თაობის ადამიანები მას მოწიწებით ესალმებიან, რჩევას ეკითხებიან. ისიც ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა, ნებისმერ დროს მზადაა ცოდნა-გამოცდილება გაგიზიაროთ. სასურველი სტუმარია.*

*„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ -- აი მისი ცხოვრების კრედო.*

*დაიბადა 1945 წლის 22 მარტს. 1973 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური და კვების მრეწველობის ფაკულტეტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. ხუთი წელიწადი ცხაკაიას კინოთეატრში, სამშენებლო-სარემონტო სამმართველოში, პურკომბინატსა და ჩაის ფაბრიკაში იმუშავა სხვადსხვა სპეციალობით. 1968-1970 წლებში იყო ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტი და ამავე კომბინატის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებული მდივანი. 1971-72 წლებში საქართველოს კომკავშირის ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი, 1972-78 წლებში კი პირველი მდივანი. ამ პოსტზე მისი ყოფნის ჟამს კომკავშირის ცხაკაიას რაიკომი 3-ჯერ დაჯილდოვდა საკავშირო კომკავშირის გარდამავალი დროშით. 1978-90 წლებში ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა. ამ წლებში იგი რამდენიმე მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატი, პარტიის რაიკომის ბიუროსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1988 წ. რაიონის მოსწავლეთა კონფერენციამ სახალხო განათლების რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია. ამ დროს „ეგრისის“ სამეცნერო საზოგადოების წევრია, ასევე საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს ხელმძღვანელი.*

*მრავალმხრივია ანზორ ცაგურიას საქმიანობა. ის სხვადასხვა წლებში აღმასკომის 15 კომისიას ხელმძღვანელობდა. ასე მაგალითად: ადმინისტრაციულს, საგზაო უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, მშენებლობის, განათლების, კულტურისა და სპორტის დარგებს და ა.შ.*

*1991-92 წლებში იყო სენაკის რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე. 1993-96 წლებში სენაკის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ქალაქ სენაკის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე. 1996-98 წლებში ის იყო ქალაქ სენაკის პირველი მერი. 1998-2003 წლებში ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის გამგებელი, ხოლო 2002-2005 წლებში ქალაქ სენაკის გამგებლის მოადგილე. 2006-12 წლებში შ.პ.ს. „ინტერკომპანის“ იურიდიული სამსახურის უფროსი. ამჟამად ა(იპ) სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტია სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში. ცნობისათვის, ახალგაზრდობაში ის სპორტით ისე ყოფილა გატაცებული, რომ 1968-69 წლებში გამხდარა საქართველოს ორგზის ჩემპიონი „ბ“ კლასის გუნდებს შორის ხელბურთში.*

*განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამოქალაო ომის, აფხაზეთის დაცემის ... პერიოდები, როცა სხვადახვა ფორმირებათა გადავლა-გადმოვლის ეპიცენტრი იყო სენაკი. იმ დროს ანზორ ცაგურია ქალაქის სხვა მესვეურებთან ერთად იმის ცდაში იყო, რომ არ გავარდნილიყო ტყვია, არ დანგრეულიყო ქალაქი... „სენაკელებმა და აფხაზეთიდან ჩვენს რაიონს თავშეფარებულმა დევნილებმა უამრავ განსაცდელს გაუძლეს – ძალიან მძიმეა იმ დღეების გახსენება, ძნელად თუ შეხორცდება ის იარა, რაც ბოლო წლების ამბებმა ღრმა ნაკვალევი დატოვა სენაკელთა სულსა და ცნობიერებაში... იმ დაძაბულ დღეებში თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენა. ერთად დგომამ გაგვაძლებინა და აღგვადგენინა ომით დანგრეული" - წერს თავის წიგნში ბატონი ანზორ ცაგურია.*



ჟიული შარტავას ძეგლის გახსნაზე: ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი და სენაკის მერი ანზორ ცაგურია

*ძირითად სამუშაოსთან ერთად ანზორ ცაგურია დღესაც აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში – არის „საზოგადოება სენაკელის“ თავმჯდომარის მოადგილე. 2017 წელს იყო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ხოლო 2018 წლის ოქტომბრიდან არჩეულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ. არის გაზეთ „სენაკის უწყებანის“ დამფუძნებელი. გამოცემული აქვს წიგნები -- „სენაკი“ და „სენაკი ჩემპიონთა საბუდარი“. დაჯილოვებულია საკავშირო სამკერდე ნიშნით „კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის“, მედლებით -“შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, საპატიო ნიშნის ორდენით. მისი სახელი შეტანილია პირველ ბიოგრაფიულ ლექსიკონში -- „ვინ ვინაა საქართველოში“. ეს პატივი იმ ათას ადამიანს ერგო, რომლებმაც 1998-99 წლებში ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. 2019 წელს საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიულ კავშირის მიერ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში აქტიური საქმიანობისათვის. 2017 წელს არჩეულ იქნა სენაკის საპატიო მოქალაქედ.*

*ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და შვილიშვილი.*

*ეს ბატონი ანზორ ცაგურიას განვლილი გზის ბიოგრაფიული შტრიხებია, რომლის უკან ბობოქარი წლებია –შრომით, საქმით, ძიებით დატვირთული. სწორედ ამ წლებში თავისი თუ თანაქალაქელების ცხოვრებიდან, მუნიციპალიტეტის წარსულიდან მნიშვნელოვან ეპიზოდებს გაიხსენებს დღეს იგი.*

**ბატონო ანზორ, წლების მანძილზე თქვენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სიბრტყეზე, თანამდებობაზე გიხდებოდათ მოღვაწეობა. დღევანდელი გადმოსახედიდან რა შეგიძლიათ გვითხრათ განვლილ გზაზე? რა გრძნობა გეუფლებათ უკან რომ იხედებით?**

ჩემი განვლილი გზა ია-ვარდებით არ იყო მოფენილი. ადამიანს უკან მოხედვის არ უნდა გეშინოდეს. რჩება საქმე გაკეთებული და გასაკეთებელი.

ვიზრდებოდი ტრადიციულ ოჯახში ჩემს ორ ძმასთან ერთად, სადაც პატივს მიაგებდნენ ძმობას, მეგობრობას, პატიოსნებას, მინდობილი საქმისადმი ერთგულებას და პასუხისმგებლობას. მამა კულტურის დამსახურებული მუშაკი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისმა დათესილმა სიკეთემ და სიყვარულმა ჩვენ შეგვაძლებინა ცხოვრება პატიოსნად გაგვეგრძელებინა და მიგვეღწია გარკვეული წარმატებებისათვის. დაუღალავი სწავლითა და შრომით დედასთან – საქართველოს დამსახურებულ პედაგოგთან ერთად დავიმსახურეთ საზოგადოების პატივისცემა და თანადგომა.

თანამდებობებზე ყოფნისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი ადამიანებთან, თანამშრომლებთან, იძულებით გადაადგილებულებთან ურთიერთობას. ვცდილობდი სიკეთე მეკეთებინა, ადამიანებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი პრობლემების მოგვარებაში. აქედან და სხვა საკითხებიდან გამომდინარე, როცა უკან ვიხედები და წარსულს ვიხსენებ, უკან მოხედვის არ მრცხვენია. არაფრით გამოვირჩეოდი კანონმორჩილი საზოგადოებისაგან.

სულიერი სამყარო, ჩემი შინაგანი მე და მთელი ჩემი ცხოვრება განუყოფელია მშობლიურ სენაკთან და ხალხთან.

**რადგან ჩვენი მუნიციპალიტეტი აგრარული და სამრეწველო პოტენციალის იყო, გთხოვთ გაიხსენოთ ა) თქვენი მეხსიერების ათვლის წერტილში როგორი იყო სენაკი და ბ) ამ წერტილიდან მოყოლებული თქვენი მონაწილეობით, თუ თქვენს გარეშე როგორ შენდებოდა და მშვენდებოდა ჩვენი ქალაქი?**

სენაკი დღიდან დაარსებისა ყველასათვის ცნობილია, როგორც უდიდესი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქი. იგი მრავალი ღირსეული პიროვნების აღმზრდელი ქალაქია. ისტორიის მანძილზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა სენაკსა და სენაკელებზე. სენაკმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ქარტეხილი გადაიტანა. იყო წლები მშენებლობისა, განვითარებისა, მაგრამ სამწუხაროდ იყო წლები ნგრევისა, ომებისა, ღალატისა. თაობები აშენებდნენ ქალაქს და ყველაზე მთავარი – ეს პასუხისმგებლობის გრძნობის გათვალისწინებით კეთდებოდა. სენაკი იყო და არის ულამაზესი თავისი ინფრასტრუქტურით. სენაკის ხელმძღვანელი პირები თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში, მე-20 საუკუნეში, იღწვოდნენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. რაშიც დიდი როლს ასრულებდა რაიონში მოქმედი აგრარული და სამრეწველო საწარმოები. საუკუნის მიწურულისთვის რაიონში ფუნქციონირებდა 2 სამშენებლო ტრესტი, 16 – სამშენებლო, 21 სამრეწველო, 2 სატრანსპორტო 2 – სავაჭრო ორგანიზაცია, 12 საბჭოთა მეურნეობა, 7 კოლმეურნეობა, სადაც დასაქმებული იყო რაიონის შრომისუნარიანი მოსახლეობა, იქმნებოდა დოვლათი და ეკონომიკა, ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა სოფლად და ქალაქად, მაგრამ სამწუხაროდ საუკუნის ბოლოს ეს ყველაფერი ჩამოიშალა.

დაიწყო ახალი ეპოქა, ხელმძღვანელ მუშაკებად მოგვევლინენ ახალგაზრდები, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით ქალაქმა და სოფლებმა შეიცვალა იერ-სახე და სამრეწველო პოტენციალი. შესაძლებლობების ფარგლებში ხდება აღორძინება.

**რაკვერესთან და ბელაია ცერკოვთან დაძმობილების იდეა როგორ გაჩნდა, როდიდან იწყება აღნიშნული დღეების აღნიშვნა?**

სენაკს საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს ესტონეთის ქალაქ რაკვერესთან, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 60 იან წლებში. ამ ურთიერთობის ინიციატორი იყო ალბერტ კურდღელია და ჰეინო კალასტე – რაკვერეს რაიონის (ესტონეთი)-ვინის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვთან დაძმობილება მოხდა 1996 წლის ოქტომბერში, ქ. სენაკის მერიის ინიციატივით.

ყოველ წელს ხდებოდა დელეგაციების გაცვლა, ფორმდებოდა მეგობრობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის ოქმი, იცვლებოდა დელეგაციები.

**სენაკისათვის მძიმე წლებში (სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ამბები და ა.შ.) თქვენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყავით, როგორ გაიხსენებდით ამ წლებს?**

სენაკის მძიმე წლები, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის და სოხუმის დაცემა ეს იყო ქვეყნის ტრაგედია.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ შინააშლილობაში სამეგრელოს უდიდესი ზიანი მიადგა. დაიბომბა რეგიონის ქალაქები და სოფლები, მათ შორის სენაკიც. მოსახლეობა გაიძარცვა. ომმა დიდძალი ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. სენაკში დაბომბვამ ათობით საწარმო მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან. 500-მდე კერძო საცხოვრებელი სახლი დაზიანდა, მათ შორის 40-მდე სახლი საცხოვრებლად უვარგისი გახდა. მთლიანად მოიშალა სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტები. ქალაქში მოჯირითე ტანკებმა მოაოხრეს გზები და მოედნები. სენაკის თეატრი დაიბომბა და მთლიანად გაიძარცვა. ვერავინ იფიქრებდა შენი სისხლი და ხორცი, მოყვარე თუ მოკეთე ამას იზამდა. სენაკი ფაქტობრივად ომის ცენტრად იქცა. 1992-1993 წლებში შიმშილობით მოცულმა ქალაქმა ათასობით აფხაზეთიდან დევნილი შეიფარა. უმძიმესი, თითქმის გაუსაძლისი წლები გადაიტანეს სენაკელებმა. რაიონის გამგებელთან ერთად ყველაფერი გაკეთდა სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებული ზარალი თანმიმდევრულად აღდგენილიყო, რაშიც ქალაქის მოსახლეობა დაუდგა გვერდით. პირველ რიგში აღდგა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება, ასევე წყალსადენის დანგრეული სათაო ნაგებობა. ყველაფერი გაკეთდა, რომ ქალაქი დამდგარიყო ფეხზე.

მოსახლეობასთან ერთად დგომამ გაგვაძლებინა და აღგვადგენინა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა. თანდათან გამოცოცხლდა ქალაქის კულტურული ცხოვრება.

(გაგრძელება გვ 7)

(დასასრული)

# „ჩემი ცხოვრება განუყოფელია სენაკთან"

**მომავალ წელს „კოლხეთი" 100 წლის ხდება. თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, რომელმაც ყველაზე მეტი იცის გაზეთის განვლილ გზაზე, მის შემოქმედებით კოლექტივებზე, რედაქტორებზე და ასე შემდეგ. რადგან სამსახურეობრივი მოვალეობიდან თუ პიროვნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე ახლო ურთიერთობა გქონდათ რედაქციასთან. გთხოვთ დაწვრილებით მოგვიყვეთ „კოლხეთის" წარსულის ნიუანსებზე.**

წინასწარ გილოცავთ გაზეთ „კოლხეთის" მრავალ საიუბილეო თარიღს. მქონდა ბედნიერება სამსახურეობრივი მდგომარეობით თუ პიროვნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე ახლო ურთიერთობა მქონოდა რედაქციის თანამშრომლებთან: ი. წირღვავასთან, ზ. შენგელიასთან, გ. რობაქიძესთან, ზ. მილიუტინთან, ს. კუჭავასთან, ი. გვასალიასთან, ა.კვირკველიასთან, ა. ეჯიბიასთან, გ. მზარელუასთან, რ. გრიგოლავასთან, რ. ჯანჯღავასთან, თ. კანკიასთან.

განსაკუთრებით გამოვყოფ ბატონ ილო წირღვავას, რომელსაც ბავშვური სიყვარულით უყვარდა ახალგაზრდობა. სულ მათთან ფუსფუსებდა, მათი მომავალით სულდგმულობდა.

„კოლხეთი" სუნთქვაა, აზრია, ფიქრია, თვითმყოფადობაა, წუხილიცაა და სენაკელთა მრწამსის გამოხატულებაა.

საზოგადოების აზრს გავაჟღერებ -- „კოლხეთი" ვითარცა ერთ-ერთი შეურყეველი ბოძია ქართული ჟურნალისტიკისა და სიტყვისა.

თაობები ქმნიდნენ „კოლხეთს", იგი მუდამ იდგა კეთილი საქმეების და ადამიანების ურთიერთსიყვარულის დამკვიდრების კარიბჭესთან.

„კოლხეთის" 100 წლის იუბილე თაობების კუთვნილებაა. მწამს და მჯერა „კოლხეთი" დროსა და ქარტეხილებს გაუძლებს.

**ჩვენში სტამბა გაზეთზე ადრე დაარსებულა. ის 130 წლისაა. მოგვხსენებათ როგორი მაღალტექნოლოგიური სტამბა გვქონდა. რას იტყვით მასზე?**

გაზეთი სტამბის გარეშე წარმოუდგენელია. გადმოცემით ვიცით, რომ სენაკის სტამბაში (1892-1899) წლის მანძილზე სხვადასხვა სახელწოდების 61 წიგნი დაიბეჭდა. პოლიგრაფიული ბაზა იმ პერიოდისთვის ძლიერი ყოფილა.

ჩემი თვალსაწიერის პერიოდში, მე როგორც მახსოვს, გაზეთის აწყობა-ბეჭდვა ხელით ხდებოდა, რაც შრომატევადი იყო, სტამბას ჰყავდა ლინოტიპისტები, მბეჭდავები, ცინკოგრაფები და ამის ფონზე გაზეთი სრულყოფილი იყო.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ესვანჯიას ინიციატივით მთლიანად გადაიარაღდა სტამბა ოფსეტური ბეჭდვის მაღალტექნოლოგიურ დანადგარ-მოწყობილობით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პროფესიონალ სტამბის უცვლელ დირექტორს გ. გიგიბერიას, დ. ბერაიას და ა.შ. (აღნიშნული პოლიგრაფიული ბაზა ხანძრისგან განადგურდა). სასურველია სენაკში არსებობდეს მაღალტექნოლოგიური სტამბა.

**7 მარტი ჟ. შარტავას დაბადების დღეა. რას იტყვით თქვენს თანაქალაქელზე? იქნებ თქვენი შეხების შტრიხებიდან საინტერესო ეპიზოდები გაიხსენოთ?**

დიახ, 7 მარტი ჟიული შარტავას დაბადების დღეა, არაერთხელ შევკრებილვართ მის ბიუსტთან და კიდევ შევიკრიბებით. ბატონი ჟიულის შესახებ დაუსრულებლად შეგვიძლია ვისაუბროთ, შეგვიძლია გავიხსენოთ ყველა ეტაპი მისი მოღვაწეობისა, მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ყოველი ადამიანი, რომელთაც ჟიული შარტავასთან ჰქონია რაიმე შეხების წერტილი, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს მას.

იგი შეუბღალავი პიროვნება იყო, ანთებული იყო საქართველოს გადასარჩენად, წუხდა საქართველოს ხვალინდელ დღეზე. აღნიშნავდა რომ საქართველო გადასარჩენია და ამაში ჩვენმა კუთხემ თავისი სიტყვა უნდა თქვასო.



ანზორ ცაგურია და ჟიული შარტავა



ანზორ ცაგურია, გოგოლა მზარელუა, ვახტანგ ესვანჯია

ჟიული შარტავას სიკვდილმა ძალიან დამწყვიტა გული. იმ ავბედით დღეებში სოხუმში ტელეფონით ვესაუბრე, სენაკის დელეგაცია იყო ჩასული ჰუმანიტარული ტვირთით და პირიქით აქეთ მამშვიდებდა. მან დროის ჭიდილში დაიმკვიდრა უკვდავის სახელი.

თითოეულ სენაკელს ეამაყება, რომ მე-20 საუკუნის ცოტნე დადიანად შერაცხული ადამიანი მათი წიაღიდან წასული კაცია. ხოლო მე და ჩემს თაობას კი საამაყოდ გვაქვს, ის, რომ მისი თანამედროვენი ვიყავით და მასთან ერთად გვიწევდა მუშაობა. ჟიული შარტავას სიტყვები მახსენდება, რომელიც ერთგვარ მოწოდებასავით გაისმის ქართველებისათვის. „სანამ ცოცხლები ვართ ერთად მოვახმაროთ საქართველოს ჩვენი მკლავი, ჩვენი უნარი, ნუ ჩავტეხთ ხიდს ერთმანეთს შორის, ამ ხიდზე ჩვენთან ერთად ჩვენი შთამომავლობა დგას. საქართველოს ხვალინდელი დღე, საქართველომ მესამე ათასწლეულიც ამ ხიდით უნდა გაიაროს". ამ ხიდზე კაცურად იარა მრავალმა სენაკელმა ჟიულის მხარდამხარ: გენერალი გენო ადამია, ნოდარ კანკია, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია, მალხაზ ჭუბაბრია და მრავალი სხვანი, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ და ბედმა თუ განგებამ ისინი გმირებად აქცია. თითოეულს გვეჯერა, რომ ასრულდება ჟიულის დედის, ქალბატონ ფენიას ნატვრა და საქართველო გულში ჩაიკრავს თავის აფხაზეთს-ძე შეცდომილს, რომელსაც ჯერაც რჩება შანსი გადარჩენისა.

**ბოლო დროს შემოქმედებითი საქმიანობით ხართ დაკავებული. როგორ მიხვდით აქამდე. რა წიგნები გაქვთ გამოცემული?**

ისტორიაში თეთრი ლაქები არ შეიძლება იყოს. იყო მე-20 საუკუნე, იყვნენ ამ საუკუნის ადამიანები და ვეცადე ისტორიისთვის შემომენახა იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომლებმაც დღევანდელობამდე მოგვიყვანა. სამწუხაროდ ბევრი მათგანის სახელს დავიწყების ბინდი გადაეფარა. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ წინაპრებმა როგორ შემოგვინახეს ჩვენი ლამაზი ქალაქი და მისი შემოგარენი. ვინ რა წვლილი შეიტანა მშობლიური კუთხის აყვავება-განვითარებაში. აქედან გამომდინარე გამოცემული მაქვს წიგნები: 1) სენაკის საპატიო მოქალაქეები 2) სენაკი ჩემპიონთა საბუდარი, რომელშიც ასახულია სენაკის სპორტის 100 წლიანი ისტორია. 3) ილუსტრირებული ალბომი სენაკი.

**რას ურჩევდით თანამედროვე ახალგაზრდებს?**

ახალგაზრდებს ვურჩევდი, ფუჭად ნუ დახარჯავენ დროს. ისწავლონ ამაგდარი ადამიანების პატივისცემა, ერთმანეთის მხარში დგომა, მშობლებს უპატრონოდ ნუ დატოვებენ, სიტყვით ნუ ეჯიბრებიან ერთმანეთს პატრიოტიზმში. დარწმუნდნენ თავიანთ შესაძლებლობებში და შემდეგ შეუდგნენ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთებას.

ისწავლონ ადამიანური ურთიერთობანი. თანამდებობისთვის ბრძოლას ნუ გადააყოლებენ ქვეყანას.

თავისუფლება არ ნიშნავს, რომ შენ ყველაფრის უფლება გაქვს. თანამედროვე ახალგაზრდობამ უნდა გააგრძელოს ახალი თავისუფალი საქართველოს მშენებლობის ისტორიული პროცესი.

იმისათვის, რომ ღირსეულად გაართვან თავი ამ კეთილშობილური საქმის კეთებას, მათ უნდა მიიღონ სწორი აღზრდა და შესაბამისი განათლება.

**დღევანდელობის გამოწვევაა უმუშევრობა, თქვენი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანის აზრი ფასეული და გასათვალისწინებელია. როგორ უნდა გადაილახოს იგი?**

მე ცხოვრება იმ პერიოდში მომიწია, როცა უკვე ჩამოყალიბებული იყო საერთო სახალხო საკუთრებაზე დაფუძნებული კოლმეურნეობები, მეურნეობები და საწარმოები. ყოველი ჯანმრთელი ადამიანი დასაქმებული იყო სოფლად და ქალაქად, იყო დოვლათი. შრომა სათაკილო არავისთვის არ იყო. გამრჯე და გონიერ ადამიანს ცხოვრება არ უჭირდა. იყო საყოველთაო განათლება, ვისაც სწავლა უნდოდა განათლების მიღება შეუძლებელი არ იყო. მთავარი იყო მონდომება და გარჯა. არც მოხუცი მშობლები იყო შვილებისაგან მიტოვებული. არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იყო უყურადღებოდ. ქუჩებში ხელგაწვდილი არავინ დადიოდა. იყო კანონი და კანონმორჩილება. იყვნენ ინიციატივიანი ადამიანები, რომლებიც თავიანთი განათლებით, „მენეჯმენტით" სახელმწიფოს მხარდაჭერით ქმნიდნენ და ავითარებდნენ საწარმოებს. ასაქმებდნენ ადამიანებს და იქმნებოდა დოვლათი. ჩვენს რაიონში ასეთები მრავლად იყო და არიან დღესაც. მათ შორის მინდა გავიხსენო: მ. ნაროუშვილი, გ. გაბისონია, კ. კვირაია, გ. ბერაია, დ.კვაშილავა, დ. გადელია, და სხვები.

პირველ რიგში უმუშევრობა დასაძლევი, საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნა, ადამიანები უნდა დაუბრუნდნენ მიწას. უნდა შეიქმნას მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი საწარმოები, სასოფლო სამეურნეო ფერმერული მეურნეობები, სასურველია მენჯისა და ნოქალაქევის თერმული წყლების ბაზაზე გაშენდეს სამკურნალო დაწესებულებები.

**ვინ არიან ის ადამიანები, თქვენს მეხსიერებას მოწიწების გრძნობით რომ შემორჩნენ?**

ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ქვეყნისა და სენაკის განვითარებაში. ისინი ბევრნი არიან. გამოვყოფ ზოგიერთ მათგანს: ნ. ჭითანავა, ვ. ესვანჯია, კ. შარტავა, ჟ. შარტავა, ვ. არჩაია, გ. გაბისონია, შ. ჩიქობავა, ს. კარტოზია, მ. ქურდოვანიძე, კ. კვირაია, რ. კუპრავა, ვ. სალაყაია, დ. ბარქაია, ო. კოხია, თ. ცაგურია, მ. ქვარცხავა, რ. ჯანჯღავა, ლ. გეგენავა, დ. ჯაიანი, გ. ჭუბაბრია, შ. ჯიქია, დ. გადელია, ვ. დავითაია, გ. ადანია...

**რა არის თქვენი ჰობი?**

ჩემი ჰობია სპორტი

**ჩვენს თავზე გამოცდილი გვაქვს ომის დამანგრეველი ძალის საშინელება, ახლა ეს ჟამი უკრაინას უდგას, სადაცაა ჩვენი დაძმობილებული „ბელაია ცერკოვიც". ამ ქალაქს, მის მოსახლეობას, მთელ უკრაინელ ხალხს გამძლეობას ვუსურვებთ, გვინდა გონიერებამ გაიმარჯვოს და უმოკლეს დროში დასრულდეს სისხლისღვრა. ბატონო ანზორ, როგორია თქვენი სურვილი და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი? რას ეტყოდით ჩვენს დაძმობილებულ ქალაქს, უკრაინელ ხალხს?**

უკრაინელ და ქართველ ხალხებს მეგობრობის საუკუნოვანი ისტორია აქვს. რაც ხდება უკრაინაში ეს საშინელებაა, რა არის ომი ეს ქართველებმა კარგად იციან. უკრაინელ ხალხს ვანუგეშებ და გამძლეობას ვუსურვებ. ეს ომი მალე უნდა დასრულდეს.

ღმერთმა უშველოს უკრაინას!

**სამყაროში სიყვარულის, სითბოს, სიკეთის... დეფიციტი იგრძნობა, თითქოს ადამიანებს ადამიანური საწყისი მოეშალათ. ამდენ ღვარძლსა და ნეგატივში არსებობა ჭირს. არადა „სიყვარულია თავად ღმერთი" — გვასწავლიდნენ. ბატონო ანზორ, რა გვჭირს, გვეშველება რამე?**

გვეშველება აუცილებლად, ეს დროებითი მოვლენაა, რომელიც განპირობებულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის სიყვარული და მოფერება, ღვარძლის დაძლევა -- სხვა გამოსავალი არ არის. მე მჯერა გაიზრდება ჯანსაღი და გონიერი ახალგაზრდობა. გეთანხმებით „სიყვარულია თავად ღმერთი"

**გაზაფხული ხომ განახლების, აყვავების სიცოცხლის აფეთქების ჟამია. ჩვენი რესპონდენტიც გაზაფხულზე-22 მარტს დაბადებულა, ეტყობა ბუნებამ დაანათლა ქვეყნის სამსახურში, მუდამ შენებისა და განვითრების პროცესში ყოფნა.**

**ვულოცავთ ბატონ ანზორს გაჩენის დღეს, ვუსურვებთ ჟამს გრძელს, ცხოვრებას სიკეთით სავსეს, მეგობარ-მოკეთე-ოჯახის წევრებთან ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას; გონს, ძალს და ენერგიას უშრეტს—საყვარელ საქმეთა საკეთებლად, ჩვენდა დამრიგებლად, აღმშენებლობაში ისევ და ისევ წილის დამდებად.**

ნინო სართანია

# დედობა –უსათუთეს გრძნობასთან ნაზიარები



*მარტი ქალების თვეაო ამბობენ, მაგრამ არ მგონია ეს სწორი გამონათქვამი იყოს, რადგან ყოველი თვე ქალებისაა. ვინ შეიძლება მათ წინ დაუდგეს, როცა ისინი ასეთი მომხიბვლელები, ასეთი მგრძნობიარეები და ასეთი საზრიანები არიან.*

*არსებობს მითები იმის შესახებ, რომ ქალის წარმატებულ კარიერას მისი ოჯახი და პირადი ცხოვრება ეწირება. როცა ქალი პოულობს საკუთარ მოწოდებას და იმ საქმეს, რომელიც უყვარს, სამსახურისა და პირადი ცხოვრების შეთავსებაში რთული არაფერია. ჩვენი ნომრის სტუმარი ქალბატონი ლუარა დგებუაძე სწორედ ასეთი ქალების რიცხვს მიეკუთვნება.*

*ქალბატონი ლუარა დაიბადა 1944 წლის 16 აგვისტოს აფხაზეთში, გალის რაიონში, პედაგოგის ოჯახში. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც ასევე დაამთავრა წარმატებით და განაწილებით მუშაობა დაიწყო ქალაქ ტყვარჩელში ექიმად. სწორედ აქ მუშაობის წლებში იგი არჩეულ იქნა ტყვარჩელის ქალაქის საბჭოს დეპუტატად.*

*1974-76 წლებში მუშაობა განაგრძო ქ. სენაკის სკოლების, ბაგა-ბაღებისა და უბნის პედიატრად. 1976 წელს კი დაინიშნა ბავშვთა საავადმყოფო-პოლოკლინიკის მთავარ ექიმად. სადაც 1999 წლიდან დღემდე არის სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორი.*

*მიღებული აქვს რამდენიმე სერთიფიკატი, როგორც ჯანდაცვის მართვასა და ორგანიზაციაში, ასევე პედიატრიაში. 2012-2016 წლებში იყო მერის მრჩეველთა ბიუროს წევრი.*

**ქალბატონო ლუარა, როგორც ავღნიშნეთ 1999 წლიდან თქვენ ხართ სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორი. ჩვენმა მოსახლეობამ, კარგად იცის, რომ ბოლო რამდენიმე წლის წინ ბავშვთა საავადმყოფოს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ძირფესვიანად შეიცვლა ინფრასტრუქტურა და საავადმყოფოს იერსახე. უფრო ზუსტად ხომ ვერ მოგვიყვებოდით ამის შესახებ?**

ჩემი დირექტორობის პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა სენაკის ბავშვთა მომსახურების სფეროში, როგორც სამკურნალო პროფილაქტიკური, ისე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ: ძველი ამორტიზირებული საავადმყოფოს შენობის მაგივრად 1987 წელს აშენდა ახალი 2 სართულიანი შენობა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

2013 წლიდან კი ბავშვთა საავადმყოფოს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. საავადმყოფო აღიჭურვა თანამედროვე ტიპის სამედიცინო კვლევისა და მკურნალობისათვის საჭირო აპარატ-მოწყობილობებით. შემოკავებული და გამწვანებული იქნა საავადმყოფოს ეზო. ამჟამად ჩვენი საავადმყოფო ერთ-ერთი საუკეთესოა რეგიონში, სადაც სამკურნალოდ მოდიან პატარა პაციენტები არა მარტო ჩვენი, არამედ მეზობელი რაიონებიდან.

თუ მანამდე საააადმყოფო იყო ფინანსურად წამგებიანი, 2013 წლიდან იგი გახდა მომგებიანი და ჩვენი შემოსავალი მილიონამდე აღწევს. გაიზარდა პერსონალის სახელფასო ანაზღაურება.

მიღებული წარმატების გამო 2016-2019 წლებში საქართველოს ნაციონალური ბიზნეს რეიტინგის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ საავადმყოფოს მიენიჭა „მედიცინის სიამაყის“ ტიტული. ხოლო მე – ეროვნული ჯანდაცვის განვითარებაში შეტანილი წვლილითვის, მაღალი პროფესიონალური გრძნობისა და კომპანიის ეფექტური მართვისთვის „წლის ხელმძღვანელის“ ტიტული.

პანდემიის პირობებში კი 2020 წლის თებერვლიდან საავადმყოფო აქტიურადაა ჩართული COVID-19-ის ტესტირების საქმეში.

2021 წელს მიღწეული წარმატებისთვის ასევე წარდგენილი ვართ ბიზნეს-რეიტინგის ოქროს ნომინაციაში.

ბედნიერი ვარ ამ წარმატებებით და დარწმუნებული ვარ ჩვენი მოსახლეობაც კმაყოფილი და მშვიდი იქნება რადგან, უმნიშვნელოვანესია ჩვენი პატარები იყვნენ საიმედო პირობებში, საიმედო პერსონალების მეთვალყურეობის ქვეშ.

**ქალბატონო ლუარა თქვენ ხართ პიროვნება, რომელსაც ჩვენი ქალაქის მოსახლეობა კარგად იცნობს. ყველას უყვარხართ. ხართ მომხიბვლელი, საინტერესო, უშუალო ყველასთნ განურჩევლად ასაკისა და სტატუსისა, ამავდროულად ოჯახის მზრუნველი დედა და ბებია. როგორ ინარჩუნებთ ქალურობას, როცა ყოველდღიური რუტინა გვიტევს ყველა მხრიდან. უდაოა, რომ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაგვიმხილოთ საიდუმლო, რითაც ახერხებთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების ერთმანეთთან შერწყმას?**

ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან ზოგადად რთულია საკუთარი თავის დადებით თვისებებზე და წარმატებებზე საუბარი, ამიტომ მოკლედ შემოვიფარგლები. ალბათ ყველაზე მთავარია დროის სწორად განაწილება, ხელშეწყობა ოჯახის მხრიდან და რაც ყველაზე მთავარია შრომისმოყვარეობა. სწორედ ეს არის ჩემი პიროვნების ასეთად ჩამოყალიბების მიზეზი.

**როდესაც ქალი შინაგანად სავსეა და კარგად გრძნობს თავს სწორედ მაშინ გამოსდის ყველაფერი საუკეთესოდ. ამაში კი მნიშვნელოვანი წვლილი მამაკაცს მიუძღვის. თქვენს შემთხვევში როგორ იყო. მიუძღვის თუ არა წვლილი თქვენს აწ გარდაცვლილ მეუღლეს თქვენს პროფესიულ წინსვლაში?**

ამაში უდაოდ გეთანხმებით. ზოგადად ქალის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მეუღლეს. არც მე ვარ გამონაკლისი, მეტიც, შემიძლია თამამად გითხრათ, ჩემი მეუღლე ყოველთვის მხარში მედგა და სტიმულს მაძლევდა ყველაფერში იქნებოდა ეს კარიერული წინსვლა თუ ოჯახზე და შვილებზე ზრუნვა. იგი კეთილსინდისიერი პიროვნება იყო, რომელიც წლების განმავლობაში ხალიჩების კომბინატის დირექტორად მუშაობდა და მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა ყოველთვის ახერხებდა პირადად ჩემზე და ოჯახზე ზრუნვას.

**მიუხედავად ჩვენი გარეგნული სინაზისა ქალებს გაცილებით მეტის „აწევა“ შეგვიძლია. მეტად მტკიცე ვართ პრობლემების გადაჭრაში, ზოგ შემთხვევში რისკიანიც. იმისათვის, რომ ქალი შედგეს ისეთ პიროვნებად როგორიც თქვენ ხართ, საჭიროა იყოს ძლიერი, შეეძლოს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა. თქვენ რას თვლით თქვენს სიძლიერედ და გაქვთ თუ არა სუსტი მხარე?**

ჩემს ძლიერ მხარედ ვთვლი იმას, რომ ზოგადად ვარ მტკიცე პრობლემების გადაჭრაში და მყისიერ რეაგირებას ვახდენ გამოწვევებზე. რაც შეეხება სუსტ მხარეს. ვარ ზედმეტად ლოიალური თანამშრომელთა მიმართ, რაშიც ალბათ თვითონაც დამემოწმებიან. გულთან მიმაქვს თითოეული ჩემი თანამშრომლის სატკივარი და წყენასაც ადვილად ვივიწყებ.

**გაზაფხული და განსაკუთრებით მარტი ქალებს გვანებივრებს დღესასწაულებით. როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებაში წელიწადის ეს დრო. რას ნიშნავს თქვენთვის დედობა და დედის ფენომენი. ხომ ვერ გაიხსენებდით ყველაზე სასიამოვნოდ მოსაგონარ გაზაფხულს თქვენს ცხოვრებაში?**

დედობა დიდი ბედნიერებაა ქალის ცხოვრებაში. ეს არის გრძნობა, რომელსაც ვერაფერი შეედრება. მე ვარ უბედნიერესი დედა და ბებია, მყავს არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილები, ღვთის უზომოდ მადლიერი ვარ, რათა მარგუნა მათი სახით ეს სიხარული. რაც შეეხება ყველაზე სასიამოვნო გაზაფხულს ჩემს ცხოვრებაში, ეს არის 2002 წლის 3 აპრილი, როდესაც დაიბადა ჩემი პირველი შვილიშვილი.

**რას უსურვებდით ქართველ ქალბატონებს 3 და 8 მარტის დღესასწაულებზე?**

წელიწადის ამ მშვენიერ და თბილ დროს ქართველ დედებს და ზოგადად ქალბატონებს, პირველ რიგში ვუსურვებდი მშვიდობას, ჯანის სიმრთელეს, შვილების და შვილიშვილების წარმატებას, ბედნიერებას,

დაე ყველა ქალს ჰქონოდეს დედობის უსათუთეს გრძნობასთან ზიარების შესაძლებოლობა.

**ჩვენი გაზეთი თქვენთან ურთიერთობის არაერთ წელიწადს ითვლის. შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენი ერთ-ერთი სასურველი რესპონდენტი ხართ. მკითხველი არაერთხელ გაცნობია პირადად თქვენი და თქვენი საავადმყოფოს საქმიანობას და წარმატებებს. საინტერესაოა როგორია თქვენი დამოკიდებულება რედაქციასთან?**

გაზეთი „კოლხეთი“ ჩემთვის და არა მატო ჩემთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვიცი, რომ მალე 100 წლის ხდება ჩვენი ქალაქის მემატიანე. ეს ძალზედ საამაყოა ისეთი პატარა ქალაქისთვის, როგორიც სენაკია.

„კოლხეთის“ რედაქციასთან განსაკუთრებული და მოკრძალებული ურთიერთობა მაკავშირებს. ჩემს ღრმა პატივისცემას ვუდასტურებ რედაქციის თითოეულ თანამშრომელს და ვუსურვებ პროფესიულ წინსვლას, მშვიდობას და ჯანმრთელობას. დაე, თქვენი გაზეთი იყოს ყოველთვის მოთხოვნადი და საინტერესო ჩვენი რაიონის მოსახლეობისთვის.

**ქალთა დღესასწაულები გაზაფხულის პირველ დღეებს ემთხვევა, რაც ასოცირდება განახლებასთან, იმედთან და სილამაზესთან. ჩვენს მშვენიერ რესპონდენტს, ქალბატონ ლუარას და მასთან ერთად ყველა ქალს, დედას და ბებაის ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებას, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ცხოვრებას.**

**ყველა ოცნება აგხდენოდეთ, მშვიდობიან და ერთიან საქართველოში გვეცხოვროს! ჩვენ ვართ ქალები და შეგვიძლია ვიყოთ წარმატებულები ნებისმიერ საქმეში.**

მოამზადა მარიკა მიქაბერიძემ

*P.S.ინტერვიუ მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ვახტანგ გადელიამ, ქალბატონ ლუარას მედიცინის სფეროსა და საოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.*

*გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ქალბატონ ლუარას ამ მეტად მნიშვნელოვან სტატუსს.*

# ,,შვილების მოსალოცი ბარათები ემოციებით მავსებს"



გაზაფხულია თითქოს ცხოვრება ხელახლა იწყება, სიცოცხლის დაწყება კი ყოველთვის ქალთან, დედასთან ასოცირდება, სიცოცხლის საწყისს- დედას და ღვთივ კურთხეულ გრძნობას –დედაშვილობას ოდითგანვე უგალობს კაცობრიობა. ჩვენში კი, ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, ყველაფერი საუკეთესო, წმინდათაწმინდა, მშვენიერი სწორედ ქალს უკავშირდება. ქართველი ქალის მრწამსი ყოველთვის იყო ოჯახისადმი ერთგულება და სიყვარული, შვილების აღზრდა, მოყვასისადმი ზრუნვა, სამშობლოსათვის თაყვანისცემა, ყოველ დარგსა თუ სფეროში პასუხისმგებლობა.

სინაზე და კდემამოსილება, სითბო და სილამაზე თანმხვედრია ჩვენი რესპონდენტი ქალბატონისათვის. ის ყველასათვის ნაცნობი თამუნა გვარამია გახლავთ, ქალი-დედა,კარგი შვილების აღმზრდელი, ქალი-მეუღლე, ქალი-ტრადიციული ოჯახის დიასახლისი, ქალი - ერთგული მეგობარი....

**ქალბატონო თამუნა, მარტია, დედის და ქალთა დღეები, რა გრძნობა გეუფლებათ ამ დღეებში?**

პირველ რიგში მსურს მოგილოცოთ დედებსა და ქალბატონებს გაზაფხულის დადგომა ორი გამორჩეული თარიღით: 3 და 8 მარტით. ეს დღეები ცალსახად მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებენ. სწორედ მათი აღნიშვნით იხატება პატივისცემა ქალთა მიმართ. რა თქმა უნდა სასურველია, რომ ადამიანები სითბოსა და სიყვარულს ყოველდღე ამჟღავნებდნენ. ამ დღეებს მეც დიდი მოლოდინითა და სიხარულით ვხვდები. განწყობის შექმნაში გაზაფხულიც თავისთავად დიდ როლს თამაშობს.

**გვიამბეთ თქვენზე, თქვენს ოჯახზე, შვილებზე.**

მყავს შესანიშნავი მეუღლე და სამი შვილი: ანი, ნინი და გიგი ყურაშვილები. მე და ჩემი მეუღლე, ირაკლი ყურაშვილი, ვმუშაობთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს ,,ლაზიკა კაპიტალში" და უკვე თითქმის ათი წელია ვართ პროფესიული გუნდის ნაწილი.

ჩვენ, როგორც მშობლები, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ შვილების აღზრდას, მათ განათლებას და შესაბამისად მათი თითოეული წარმატება ჩვენთვის განსაკუთრებული სიხარულის მომტანია. ანიმ, უფროსმა ქალიშვილმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და 100%-იანი გრანტით ჩააბარა თავისუფალ უნივერსიტეტში ,,ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" ფაკულტეტზე, სწავლასთან ერთად მუშაობს ციფრული ტექნოლოგიების კომპანია ,,UGT"-ში. ნინი კი აბიტურიენტია. მისგანაც ველოდებით წარმატებებს. რაც შეეხება გიგის, პატრიარქის ნათლულია, რითაც ძალიან ამაყობს. ის მეშვიდე კლასის მოსწავლეა და მსგავსად უფროსი დებისა დაინტერესებულია ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით.

**თქვენი სამსახური დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს, როგორ ახერხებთ ოჯახური საქმისა და სამსახურის ჰარმონიულად შერწყმას?**

ჩემს ცხოვრებაში ოჯახსა და სამსახურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მათი ჰარმონიული შერწყმა დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს. მარტივი არ არის იყო კარგი მეუღლე, მზრუნველი დედა, გქონდეს წარმატებული კარიერა, ეს ყველაფერი თავისთავად სირთულეებთან ასოცირდება, რის დაძლევაში მეხმარება სიყვარული იმ საქმისადმი, რომელსაც ვაკეთებ, დროის მენეჯმენტი და რა თქმა უნდა ოჯახი, რომლისაგანაც მუდამ ვგრძნობ თანადგომას.

**გაიხსენეთ ისეთი 8 მარტი თქვენი ცხოვრებიდან, როდესაც განსაკუთრებული საჩუქარი მოგართვეს, ან სიურპრიზი მოგიწყვეს.**

არ მეგულება ქალი, რომელსაც 3 და 8 მარტის დღესასწაულები არ უყვარდეს. პირადად ჩემთვის დასამახსოვრებელი და გამორჩეულია. ამ დღეებში (და არა მარტო ამ დღეებში) განსაკუთრებულ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ ოჯახისაგან, რაც ჩემთვის ყველაზე ფასეულია. მეუღლისაგან საჩუქრებს და ულამაზეს თაიგულს ვიღებ, რომელსაც თან სდევს გაზაფხულის სურნელება. მარტის დღესასწაულებთან დაკავშირებით ერთგვარი ტრადიცია მაქვს. ყოველ დამდეგ 3 და 8 მარტს ვხსნი წინა წლებში შვილებისაგან მიღებულ მოსალოც ბარათებს, რაც მაბრუნებს წარსულში და განსაკუთრებული ემოციებით მავსებს.

**რას უსურვებდით ქალბატონებს?**

ყველა ქალბატონს ვუსურვებ იყვნენ ბედნიერები, სიყვარულით აღსავსენი, წარმატებულები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერაში. განსაკუთრებით გილოცავთ თქვენ, გაზეთ ,,კოლხეთის" ქალბატონებს, მრავალჟამიერ თქვენი მართალი სიტყვა თქვენი მკითხველის საიმედოდ და სანუგეშოდ.

**ქალბატონო თამუნა, ვარდ-ყვავილებითა და ია-ვარდებით გილოცავთ დედისა და ქალთა დღეებს. წარმატებულ დღეთა სიმრავლე და ბედნიერება არ მოგაკლოთ უფალმა.**

მაია გერგაია


სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჯავჯავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499